განკარგულება:**g-81.81220963**
თარიღი:**06/04/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №19

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების–ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლასურიაშში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების-ადმინისტრაციული შენობის (ს/კ89.08.25.009), ფართის ნაწილის შენობის პირველ და მეორე სართულზე არსებული 140 კვ.მ ფართის ა(ა)იპ ,,ერთად რეალური ცვლილებისათვის“ ს/ნ-401981931 პირდაპირი განკარგვის წესით–სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო ,,უზუფრუქტი“) გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ. გ“ ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლასურიაშში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების-ადმინისტრაციული შენობის (ს/კ89.08.25.009), ფართის ნაწილის შენობის პირველ და მეორე სართულზე არსებული 140 კვ.მ ფართი საგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტი გადაეცეს ორი წლის ვადით ა(ა)იპ ,,ერთად რეალური ცვლილებისათვის“.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი